

დამტკიცებულია
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2024 წლის --- იანვრის
N----- ბრძანებით

**„მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება“ ქვეპროგრამით
გათვალისწინებული ღონისძიებების „გულის კტ კორონაროგრაფია“ ფარგლებში სამედიცინო
ვაუჩერის გაცემის და გამოყენების წესი**

„მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება“ ქვეპროგრამის (ღონისძიება „გულის კტ კორონაროგრაფია“) ბენეფიციარმა ან მისმა წარმომადგენელმა სამედიცინო ვაუჩერის მიღების მიზნით განცხადებით უნდა მომართოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და წარადგინოს:

- ა) მოქალაქის განცხადება;
- ბ) პირადობის მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- გ) სამედიცინო ორგანიზაციის მიერ გაცემული ცნობა, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა;
- დ) დოკუმენტაცია სოციალური მომსახურების სააგენტოდან საყოველთაოში ჩართულობისა და დარიცხული ხელფასის (მომსახურების პაკეტის) მითითებით;
- ე) სამედიცინო ორგანიზაციის მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა, მომსახურეობის მითითებით.

ქვეპროგრამის ბენეფიციარის მიერ სრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცემა სამედიცინო ვაუჩერი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული გეგმიური ამბულატორიული დახმარება გაეწევა იმ პირებს, რომლებიც ფლობენ სრულად შევსებულ ვაუჩერს.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე (ქალებს 60 წლამდე, მამაკაცებს 65 წლამდე), რომელთა თვითღირსეული დარიცხული ხელფასი ნაკლებია საშუალო ხელფასზე (1000 ლარი თვეში /არასტაბილური შემოსავლის მქონე)/ თვითდასაქმებული კლინიკიდან წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის 50 % ფარგლებში და არიან რეგისტრირებულნი ქ. ბათუმში 2024 წლის 1 იანვრამდე და ვაუჩერის გაცემის მომენტში.

ვაუჩერის გაცემა ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებიდან (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) და ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტოს ადმინისტრაციული ერთეულების სერვისცენტრებიდან.